საქართველოს მთავრობის

დადგენილება №280

2015 წლის 23 ივნისი

ქ. თბილისი

საქართველოს ვიზის გაცემის, მისი მოქმედების ვადის გაგრძელებისა და მოქმედების შეწყვეტის წესის დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული „საქართველოს ვიზის გაცემის, მისი მოქმედების ვადის გაგრძელებისა და მოქმედების შეწყვეტის წესი“.

მუხლი 2

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ვიზის გაცემის, მისი მოქმედების ვადის გაგრძელებისა და მოქმედების შეწყვეტის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №524 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

საქართველოს ვიზის გაცემის, მისი მოქმედების ვადის გაგრძელებისა და მოქმედების შეწყვეტის წესი

საქართველოს ვიზის (შემდგომში – ვიზა) გაცემის, მისი მოქმედების ვადის გაგრძელებისა და მოქმედების შეწყვეტის წესი (შემდგომში – წესი) ემყარება საქართველოს კონსტიტუციას, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონს და იზიარებს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს წესი განსაზღვრავს ვიზის გაცემასთან, მოქმედების ვადის გაგრძელებასა და მოქმედების შეწყვეტასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს და აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციას, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებანი

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) საქართველოს საკონსულო დაწესებულება – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) ქვედანაყოფი საზღვარგარეთ, რომელიც ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან საკონსულო ურთიერთობისას და იმ სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობისას, რომელშიც საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა არ აქვს, წარმოადგენს საქართველოს;

ბ) დიპლომატიური წარმომადგენლობა – სამინისტროს ქვედანაყოფი საზღვარგარეთ, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციასთან და ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობებისას წარმოადგენს საქართველოს;

გ) საკონსულო თანამდებობის პირი – „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დიპლომატიური თანამდებობის პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ასრულებს საკონსულო ფუნქციებს, საქართველოს საპატიო კონსული;

დ) უცხოელი – პირი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი;

ე) მოქალაქეობის არმქონე პირი – პირი, რომელსაც არცერთი სახელმწიფო არ მიიჩნევს თავის მოქალაქედ საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისად;

ვ) ვიზა – დადგენილი ფორმის პირობითი ნებართვა, რომელიც გაიცემა სამგზავრო დოკუმენტში ვიზის ბლანკის დატანით ან ელექტრონულად (ელექტრონული ვიზა) და რომელიც საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის საფუძვლის ან საქართველოში ყოფნის ვადის შეწყვეტის ფაქტის არარსებობის შემთხვევაში ადასტურებს უცხოელის უფლებას, შემოვიდეს ან/და იმყოფებოდეს საქართველოში ან ტრანზიტით გაიაროს საქართველოს ტერიტორია;

ზ) ვიზის მოქმედების ვადა – პერიოდი, რომლის განმავლობაშიც უცხოელს აქვს საქართველოში შემოსვლის ან/და ყოფნის უფლება;

თ) მოწვევა – საქართველოს მოქალაქის, საქართველოში ბინადრობის ნებართვის მქონე პირის, საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის, საქართველოს სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობის, საკონსულო დაწესებულების, საერთაშორისო ორგანიზაციის წერილობითი შუამდგომლობის შემცველი ოფიციალური დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება უცხოელის საქართველოში ჩამოსვლის მიზანი;

ი) სამგზავრო დოკუმენტი – პასპორტი ან მისი შემცვლელი სხვა სამგზავრო დოკუმენტი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე აღიარებული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ვარგისია მგზავრობისათვის;

კ) სასაზღვრო გამტარ პუნქტში ინსპექტირება – საქართველოში უცხოელის შემოსვლისას და საქართველოდან მისი გასვლისას სასაზღვრო-მიგრაციული კონტროლის განხორციელება;

ლ) **ოჯახის წევრი** – უცხოელის ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი, მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ ან/და სრულ კმაყოფაზე მყოფი არასრულწლოვანი, მხარდაჭერის მიმღები ან შრომისუუნარო პირი; არასრულწლოვანი უცხოელის ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე არასრულწლოვნის მშობელი; საქართველოს მოქალაქის უცხოელი მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი, მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ ან/და სრულ კმაყოფაზე მყოფი არასრულწლოვანი, საქართველოს არასრულწლოვანი მოქალაქის მშობელი;

მ) ნათესავი – უცხოელის ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის მეუღლე, შვილი, მშობელი, და, ძმა, პაპა, ბებია, შვილიშვილი;

ნ) სასაზღვრო გამტარი პუნქტი – საერთაშორისო მიმოსვლისათვის ნებადართული გზატკეცილი ან გზის მონაკვეთი, რკინიგზის სადგურის, პორტის, ნავსადგურის, აეროპორტის (აეროდრომის) ტერიტორიის ნაწილი, სადაც ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთასთან

დაკავშირებული სასაზღვრო კონტროლი და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა სახის კონტროლი;

ო) თავისუფალი პროფესიის ადამიანი – გარკვეული პროფესიის პირი, რომელიც პირთა ან საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ დამოუკიდებლად, საკუთარი პასუხისმგებლობით ახორციელებს პროფესიულ საქმიანობას;

პ) შრომითი საქმიანობა – ნებისმიერი საქმიანობა, რომლისთვისაც პირი იღებს ანაზღაურებას;

ჟ) ტრანზიტით გავლა – საქართველოს ტერიტორიის გადაკვეთა მესამე სახელმწიფოში შესვლის მიზნით;

რ) საქართველოში ყოფნის ვადა – საქართველოს ვიზაში ან საქართველოში ბინადრობის ნებართვაში აღნიშნული, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადა, რომლის განმავლობაშიც უცხოელს აქვს საქართველოში ყოფნის უფლება. საქართველოში ყოფნის ვადა აითვლება უცხოელის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის პირველად გადმოკვეთის დღიდან;

ს) გაძევება – სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს ქმედება, რომლის მიზანია, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, უცხოელის ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ მისი სურვილის საწინააღმდეგოდ საქართველოს დატოვების უზრუნველყოფა;

ტ) კომერციული შუამავალი – იურიდიული პირი, რომელსაც საზღვარგარეთ საქართველოს ვიზის გაცემისათვის საჭირო ცალკეული მოქმედებების განხორციელება აქვს მინდობილი;

უ) სამინისტროს სპეციალური ვებგვერდი – e-VISA PORTAL (www.evisa.gov.ge) გამოიყენება სამინისტროს მიერ საზღვარგარეთ მყოფი უცხოელისთვის ელექტრონული ვიზის გაცემასთან დაკავშირებული მოქმედებების განხორციელებისათვის;

ფ) www.geoconsul.gov.ge – სამინისტროს მიერ ადმინისტრირებადი ვებგვერდი, რომელიც გამოიყენება სამინისტროსა და წარმომადგენლობის მიერ ვიზის გაცემასთან, გარდა e-VISA PORTAL-ის მეშვეობით წარდგენილი სავიზო განაცხადის საფუძველზე მოკლევადიანი ელექტრონული ვიზის გაცემასთან, დაკავშირებული მოქმედებების განსახორციელებლად;

ქ) სამახსოვრო ბარათი – დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია ვიზის მიღების მსურველი უცხოელის პერსონალური მონაცემები, ვიზის მისაღებად წარდგენილი დოკუმენტების ჩამონათვალი და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომლებიც უნდა დაიცვას ვიზის მიღების მსურველმა უცხოელმა.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 ივნისის დადგენილება №307 – ვებგვერდი, 30.06.2021წ.
საქართველოს მთავრობის 2026 წლის 7 მაისის დადგენილება №184 - ვებგვერდი, 07.05.2026წ.

თავი II. ვიზის მიმღები სუბიექტები

მუხლი 3. ვიზის მიმღები სუბიექტები

საქართველოში შემოსვლისათვის ვიზის მიღება ესაჭიროებათ უცხოელებს, მათ შორის, პირებს, რომლებიც არ ფლობენ იმ ქვეყნის მიერ გაცემულ მოქალაქეობის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომლის მოქალაქეებსაც შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საქართველოში უვიზოდ შემოსვლის შემთხვევებისა.

თავი III. ვიზის კატეგორიები და ვიზის გაცემის ზოგადი პირობები

მუხლი 4. ვიზის კატეგორიები და ვიზის გაცემის ზოგადი პირობები

1. ვიზა იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

ა) დიპლომატიური (A კატეგორია);

ბ) სპეციალური (B კატეგორია);

გ) ორდინალური (C კატეგორია);

დ) საიმიგრაციო (D კატეგორია);

ე) ტრანზიტული (T კატეგორია).

2. ვიზა არის მოკლევადიანი და გრძელვადიანი, ერთჯერადი ან მრავალჯერადი შემოსვლის უფლებით. მოკლევადიანი ვიზა გაიცემა საქართველოში ერთჯერადი ან მრავალჯერადი შემოსვლის უფლებით, ხოლო გრძელვადიანი – მხოლოდ მრავალჯერადი შემოსვლის უფლებით.

3. ერთჯერადი მოკლევადიანი ვიზა გაიცემა უცხოელის მიერ სავიზო განაცხადში მითითებული დღეების რაოდენობის შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს 30 კალენდარული დღის ვადით.

4. მრავალჯერადი მოკლევადიანი ვიზა გაიცემა არაუმეტეს 5 წლის მოქმედების ვადით. ამასთან, უცხოელის საქართველოში შემოსვლისა და ყოფნის საერთო ვადა ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში არ უნდა აღემატებოდეს 90 კალენდარულ დღეს, გარდა ამ მუხლის 5^1 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

5. მრავალჯერადი მოკლევადიანი ვიზა გაიცემა იმ უცხოელზე, რომელიც წინა წლის განმავლობაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთხელ მაინც იმყოფებოდა საქართველოში და არსებობს მის მიერ მრავალჯერადი მოკლევადიანი ვიზის მოთხოვნის საფუძველი. წინა წლის განმავლობაში საქართველოში ყოფნის პირობის დაცვა არ მოითხოვება დიპლომატიური და სპეციალური ვიზების, ასევე e-VISA PORTAL-ის მეშვეობით წარდგენილი სავიზო განაცხადის საფუძველზე მრავალჯერადი მოკლევადიანი ელექტრონული ვიზის გაცემის მიზნებისთვის.

5^1. მრავალჯერადი მოკლევადიანი ვიზა ასევე შეიძლება, გაიცეს 5 წლის მოქმედების ვადითა და საქართველოში 1 წლის ვადით ყოფნის უფლებით მხოლოდ C5 კატეგორიის ელექტრონული ვიზის, e-VISA PORTAL-ის მეშვეობით წარდგენილი სავიზო განაცხადის საფუძველზე გაცემის შემთხვევაში.

6. გრძელვადიანი ვიზა გაიცემა საქართველოში მრავალჯერადი შემოსვლის უფლებით, 90 კალენდარული დღის ან 1 წლის მოქმედებისა და ყოფნის ვადით. გრძელვადიანი ვიზა შეიძლება იყოს მხოლოდ A2, B2, B3 და D კატეგორიების. გრძელვადიანი ვიზა 1 წლის მოქმედების ვადით გაიცემა მხოლოდ D5 და D6 კატეგორიის ვიზის გაცემის შემთხვევაში.

7. უცხოელი უფლებამოსილია, ვიზის გამცემ ორგანოს მიმართოს D4 კატეგორიის ვიზის გაცემის მიზნით:

ა) თუ მისი ოჯახის წევრს წარდგენილი აქვს სავიზო განაცხადი D1, D2 ან D3 კატეგორიის ვიზის გაცემის მიზნით ან მიღებული აქვს ამ კატეგორიის ვიზა. ამ შემთხვევაში, უცხოელზე D4 კატეგორიის ვიზა გაიცემა, თუ უცხოელის ოჯახის წევრზე გაიცა D1, D2 ან D3 კატეგორიის ვიზა;

ბ) თუ მისი ოჯახის წევრი კანონიერად იმყოფება საქართველოში. უცხოელზე D4 კატეგორიის ვიზის გაცემის მიზნებისათვის კანონიერად ყოფნაში არ ითვლება ვიზის მიღების მსურველი უცხოელის ოჯახის წევრის საქართველოში ყოფნა ვიზის საფუძველზე, გარდა D1, D2 და D3 კატეგორიის ვიზის საფუძველზე ყოფნის შემთხვევისა.

8. გამონაკლის შემთხვევაში, საერთაშორისო სამართლებრივი ან ჰუმანიტარული საფუძვლებიდან ან საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, როცა უცხოელი ვერ აკმაყოფილებს ვიზის მიღებისათვის დადგენილ მოთხოვნებსა და პირობებს, უცხოელზე შეიძლება გაიცეს B4 კატეგორიის ერთჯერადი მოკლევადიანი ვიზა, 30 კალენდარული დღის მოქმედების ვადით.

9. ნებისმიერი კატეგორიის მრავალჯერადი მოკლევადიანი ორდინალური ვიზის საფუძველზე საქართველოში მეორე და ყოველი შემდგომი შემოსვლა შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ აღარ არსებობს ან შესრულდა მიზანი, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა შესაბამისი კატეგორიის ორდინალური ვიზა, თუმცა არსებობს რომელიმე სხვა კატეგორიის მრავალჯერადი მოკლევადიანი ორდინალური ვიზის მიზანი ან მისი გაცემისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობა.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 7 მაისის დადგენილება №184 - ვებგვერდი, 07.05.2026წ.
საქართველოს მთავრობის 2026 წლის 8 სექტემბრის დადგენილება №443 - ვებგვერდი, 10.09.2026წ.

მუხლი 5. დიპლომატიური ვიზა

დიპლომატიური ვიზა გაიცემა:

ა) A1 კატეგორიის – სახელმწიფო, ოფიციალური, სამუშაო, მეგობრული ან არაოფიციალური ვიზიტით საქართველოში მომავალ სხვა სახელმწიფოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების პირველ პირებზე, უმაღლესი და მაღალი დონის დელეგაციების წევრებსა და მათ თანმხლებ ოჯახის წევრებზე;

ბ) A2 კატეგორიის – საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების თანამშრომლებზე, საკონსულო დაწესებულებათა საკონსულო თანამდებობის პირებსა და მათი ოჯახის წევრებზე; საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობების იმ თანამშრომლებზე, რომლებსაც საქართველომ მიანიჭა დიპლომატიური სტატუსი და მათი ოჯახის წევრებზე;

გ) A3 კატეგორიის – დიპლომატიურ კურიერებზე, სპეციალური დიპლომატიური მისიით საქართველოში მომავალ პირებზე;

დ) A4 კატეგორიის – საქართველოს საპატიო კონსულებსა და მათი ოჯახის წევრებზე, თუ ისინი სხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან;

ე) A5 კატეგორიის – საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, სხვადასხვა მისიით საქართველოში მომავალ პირებზე; სამუშაო ვიზიტით საქართველოში მომავალ დიპლომატიური პასპორტის მფლობელ პირებზე.

მუხლი 6. სპეციალური ვიზა

სპეციალური ვიზა გაიცემა:

ა) B1 კატეგორიის – სხვა სახელმწიფოს დელეგაციის წევრებზე; სამუშაო ვიზიტით საქართველოში მომავალ სამსახურებრივი/ოფიციალური პასპორტის მფლობელ პირებზე; აგრეთვე ზემოაღნიშნულ პირთა თანმხლებ ოჯახის წევრებსა და სხვა თანმხლებ პირებზე;

ბ) B2 კატეგორიის – სხვა სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ადმინისტრაციულ-ტექნიკური და მომსახურე პერსონალის წევრებზე, საკონსულო დაწესებულების საკონსულო მოსამსახურეებსა და მომსახურე პერსონალზე, აგრეთვე მათი ოჯახის წევრებსა და კერძო შინამუშაკებზე; საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული საერთაშორისო და ჰუმანიტარული ორგანიზაციების წარმომადგენლობების თანამშრომლებსა და ოჯახის წევრებზე; A2 კატეგორიის საქართველოს ვიზის მიმღებ პირთა თანმხლებ კერძო შინამუშაკებზე;

გ) B3 კატეგორიის – საქართველოს საერთაშორისო ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე საქართველოში მომავალ პირებზე, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებული სამშვიდობო ძალებისა და სხვა სამხედრო კონტინგენტის წევრებსა და მათი ოჯახის წევრებზე;

დ) B4 კატეგორიის – საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, სხვადასხვა მისიით საქართველოში მომავალ პირებზე, ასევე გამონაკლის შემთხვევაში, საერთაშორისო სამართლებრივი ან ჰუმანიტარული საფუძვლებიდან ან საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, როცა უცხოელი ვერ აკმაყოფილებს ვიზის მიღებისათვის დადგენილ მოთხოვნებსა და პირობებს.

მუხლი 7. ორდინალური ვიზა

ორდინალური ვიზა გაიცემა:

ა) C1 კატეგორიის – ტურისტული მიზნით საქართველოში მომავალ პირებზე;

ბ) C2 კატეგორიის – ნათესავებისა და მეგობრების მოსანახულებლად საქართველოში მომავალ პირებზე;

გ) C3 კატეგორიის – საქმიანი შეხვედრებისა და მოლაპარაკებების გასამართავად საქართველოში მომავალ პირებზე, სამეცნიერო სემინარის, კონფერენციის, სხვა სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური, კულტურული ან სპორტული ღონისძიების მონაწილეებზე, ჟურნალისტური საქმიანობის განსახორციელებლად საქართველოში მომავალ პირებზე, საქართველოს ნავსადგურში მდგომი გემის ეკიპაჟის წევრებზე, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრული არ არის გემის ეკიპაჟის წევრთა უვიზო მიმოსვლა; საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვის/ სამგზავრო გადაყვანის დროს სატვირთო/სამგზავრო ავტომანქანის ძირითად და დამატებით მძღოლებზე;

დ) C4 კატეგორიის – სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი მდგომარეობის არსებობისას ჰუმანიტარული დახმარების მისაღებად ან გასაწევად, საქველმოქმედო საქმიანობის განსახორციელებლად საქართველოში მომავალ პირებზე, საქართველოს მოქალაქის მეურვეზე ან მზრუნველზე, საქართველოს მოქალაქის მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ მყოფ პირზე, სამკურნალოდ, ნათესავებისა და ახლობლების საფლავების მოსანახულებლად, წმინდა ადგილების მოსალოცავად და რელიგიური კონტაქტების დასამყარებლად საქართველოში მომავალ პირებზე;

ე) C5 კატეგორიის – მოკლევადიანი, ტურისტული მიზნით საქართველოში მომავალ პირზე, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე შემოდის და რომელსაც ასევე უფლება აქვს, განახორციელოს საქმიანობა მხოლოდ არარეზიდენტი პირის სასარგებლოდ, თუ ეს საქმიანობა არარეზიდენტი პირის მიერ საქართველოს ფარგლების გარეთ საქმიანობის განხორციელებას უკავშირდება. ამ კატეგორიის ვიზა გაიცემა აგრეთვე აღნიშნული პირის მეუღლესა და არასრულწლოვან შვილზე/შვილებზე.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 7 მაისის დადგენილება №184 - ვებგვერდი, 07.05.2026წ.

მუხლი 8. საიმიგრაციო ვიზა

საიმიგრაციო ვიზა გაიცემა:

ა) D1 კატეგორიის – უცხოელზე, ასევე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად საქართველოში მომავალ უცხოელზე, რომელმაც მიიღო შრომითი საქმიანობის უფლება. საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებში, ამ კატეგორიის ვიზა შეიძლება, გაიცეს აგრეთვე პირზე, რომელიც საქართველოში ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელზედაც არ ვრცელდება „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება;

ბ) D2 კატეგორიის – მეცნიერული, სპორტული, კულტურული ან საგანმანათლებლო მისიით საქართველოში მომავალ პირებზე; თავისუფალი პროფესიის ადამიანებზე; უცხოელებზე, რომლებიც საქართველოში მოემგზავრებიან სტაჟირების გავლის მიზნით ან მოხალისედ; მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკებზე, რომლებიც საქართველოში თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად მოემგზავრებიან;

გ) D3 კატეგორიის – საქართველოში ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან მის ბაზაზე სასწავლებლად ან კვლევის ჩასატარებლად მომავალ/მყოფ სრულწლოვან პირზე; საერთაშორისო პროგრამების ფარგლებში საქართველოში სასწავლებლად მომავალ/მყოფ პირზე;

დ) D4 კატეგორიის – ოჯახის გაერთიანების მიზნით საქართველოში მომავალ პირებზე;

ე) D5 კატეგორიის – პირზე, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქვს საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა), რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება 150 000 აშშ დოლარის ლარში ეკვივალენტს, აგრეთვე მის მეუღლესა და შვილზე/შვილებზე. D5 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზის გასაცემად უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულებას ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული ორგანოს სერტიფიცირებული შემფასებელი;

ვ) D6 კატეგორიის – საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს ან პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლებლად მომავალ/ მყოფ არასრულწლოვან პირზე; საქართველოში ავტორიზებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლებლად მომავალ/მყოფ არასრულწლოვან პირზე მის მიერ სრული ზოგადი განათლების დასრულებამდე. თუ უცხოელი არასრულწლოვანია, ამ კატეგორიის ვიზა შეიძლება, გაიცეს აგრეთვე მის მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე და არასრულწლოვან და-ძმაზე, უცხოელის მიერ სრულწლოვანების მიღწევამდე.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 ივნისის დადგენილება №307 – ვებგვერდი, 30.06.2021წ.
საქართველოს მთავრობის 2026 წლის 31 მარტის დადგენილება №133 - ვებგვერდი, 02.04.2026წ.
საქართველოს მთავრობის 2026 წლის 8 სექტემბრის დადგენილება №443 - ვებგვერდი, 10.09.2026წ.

მუხლი 9. ტრანზიტული ვიზა

ტრანზიტული ვიზა გაიცემა მესამე სახელმწიფოში შესვლის მიზნით, საქართველოს ტერიტორიის ტრანზიტით გავლის (10 დღე) შემთხვევაში.

თავი IV. ვიზის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოები და მათი კომპეტენცია

მუხლი 10. ვიზის გამცემი ორგანოები

ვიზის გამცემი ორგანოებია:

ა) სამინისტრო;

ბ) დიპლომატიური წარმომადგენლობა, მესამე სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში შექმნილი საქართველოს ინტერესთა სექცია და საქართველოს საკონსულო დაწესებულება (შემდგომში – წარმომადგენლობა);

გ) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანო.

მუხლი 11. ვიზის გაცემა სამინისტროს მიერ

1. სამინისტრო ვიზების გაცემას ახორციელებს თავისი სტრუქტურული ქვედანაყოფის – საერთაშორისო სამართლებრივი, საკონსულო და დიასპორის საკითხების დირექტორატის საკონსულო და დიასპორის საკითხების დეპარტამენტის (შემდგომში – სამინისტროს საკონსულო და დიასპორის საკითხების დეპარტამენტი) მეშვეობით.

2. საქართველოს ვიზის გაცემის საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სამინისტროს საკონსულო და დიასპორის საკითხების დეპარტამენტის უფლებამოსილი პირი.

3. სამინისტროს საკონსულო და დიასპორის საკითხების დეპარტამენტი უფლებამოსილია, გასცეს:

ა) საიმიგრაციო ვიზა – საქართველოში კანონიერად მყოფ უცხოელზე;

ბ) C კატეგორიის მოკლევადიანი ელექტრონული ვიზა, თუ სავიზო განაცხადი წარდგენილია e-VISA PORTAL-ის მეშვეობით;

გ) მოკლევადიანი დიპლომატიური და სპეციალური ვიზები, D3, D5 და D6 კატეგორიის ვიზები – ამ წესის 34-ე მუხლით განსაზღვრული წესით, მათი მოქმედების ვადის გაგრძელების შემთხვევაში.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 18 აგვისტოს დადგენილება №358 - ვებგვერდი, 19.08.2025წ.
საქართველოს მთავრობის 2026 წლის 8 სექტემბრის დადგენილება №443 - ვებგვერდი, 10.09.2026წ.

მუხლი 12. ვიზის გაცემა წარმომადგენლობის მიერ

1. საზღვარგარეთ ვიზა გაიცემა წარმომადგენლობის მიერ. წარმომადგენლობა უფლებამოსილია, საზღვარგარეთ გასცეს ნებისმიერი კატეგორიის ვიზა, გარდა C5 კატეგორიის ვიზისა.

2. წარმომადგენლობის მიერ ვიზის გაცემის საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს საკონსულო თანამდებობის პირი.

3. უცხოელს, რომლის მოქალაქეობის ქვეყანაშიც საქართველოს არ გააჩნია წარმომადგენლობა, შეუძლია, ვიზის მისაღებად მიმართოს ახლომდებარე წარმომადგენლობას. ახლომდებარე წარმომადგენლობების ჩამონათვალი განისაზღვრება ამ წესის №1 დანართით.

4. უცხოელს, რომელიც იმყოფება მესამე სახელმწიფოში, შეუძლია, ვიზის მისაღებად მიმართოს ადგილსამყოფელ ქვეყანაში მდებარე წარმომადგენლობას, თუ მას აქვს ადგილსამყოფელი ქვეყნის მრავალჯერადი შესვლა-გასვლის მოქმედი ვიზა ან მოქმედი ბინადრობის ნებართვა. ამ შემთხვევაში, ადგილსამყოფელი ქვეყნის ვიზის ან ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა 3 თვით უნდა აღემატებოდეს მოთხოვნილი ვიზის მოქმედების ვადას.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 7 მაისის დადგენილება №184 - ვებგვერდი, 07.05.2026წ.

მუხლი 13. ვიზის გაცემა საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე

1. ამ მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე არსებულ საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილ სასაზღვრო გამტარ პუნქტში, ინსპექტირების შედეგად, ვიზა გაიცემა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო გასცემს მხოლოდ შემდეგი კატეგორიის ვიზებს და მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

ა) B4 კატეგორიის ერთჯერად მოკლევადიან ვიზას, ამ წესის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში;

ბ) C3 კატეგორიის ვიზას – საქართველოს ნავსადგურში მდგომი გემის ეკიპაჟის წევრებზე, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრული არ არის გემის ეკიპაჟის წევრთა უვიზო მიმოსვლა;

გ) C4 კატეგორიის ვიზას – სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი მდგომარეობის არსებობისას ჰუმანიტარული დახმარების მისაღებად ან გასაწევად საქართველოში მომავალ პირებზე;

დ) ტრანზიტულ ვიზას.

3. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ვიზების გაცემისათვის პასუხისმგებელი პირები და მათი კომპეტენცია განისაზღვრება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 14. შეთანხმება წარმომადგენლობის თაობაზე

1. იმ უცხოელებისათვის, რომელთა მოქალაქეობის ქვეყანაშიც საქართველოს არ აქვს

წარმომადგენლობა, ვიზის გაცემა ან მისი გაცემისათვის საჭირო ცალკეული მოქმედებების განხორციელება შესაძლებელია მიენდოს მესამე სახელმწიფოს.

2. მესამე სახელმწიფოს მიერ ვიზის გაცემის ან მისი გაცემისათვის საჭირო ცალკეული მოქმედების განხორციელების პირობები განისაზღვრება შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით.

3. მესამე სახელმწიფოს მიერ ვიზის გაცემა ან მისი გაცემისათვის საჭირო ცალკეული მოქმედების განხორციელება უნდა მოხდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 15. კომერციული შუამავალი

სამინისტრო უფლებამოსილია, ვიზის გაცემისათვის საჭირო ცალკეული მოქმედებების განხორციელება მიანდოს კომერციულ შუამავალს. კომერციული შუამავლის მიერ ვიზის გაცემისათვის საჭირო ცალკეული მოქმედებების განხორციელების პირობები განისაზღვრება სამინისტროსა და კომერციულ შუამავალს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

თავი V. ვიზის გაცემის პროცედურა

მუხლი 16. სავიზო განაცხადის წარდგენის პრაქტიკული საშუალებები

1. სავიზო განაცხადის წარდგენა ხდება:

ა) ელექტრონული ფორმით, www.geoconsul.gov.ge-ს მეშვეობით;

ბ) ელექტრონული ფორმით, e-VISA PORTAL-ის მეშვეობით.

2. სავიზო განაცხადის www.geoconsul.gov.ge-ს მეშვეობით წარდგენა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნილია:

ა) ვიზის გაცემა წარმომადგენლობის მიერ;

ბ) საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე საიმიგრაციო ვიზის გაცემა;

გ) ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელება.

3. სავიზო განაცხადის e-VISA PORTAL-ის მეშვეობით წარდგენა ხდება მხოლოდ საზღვარგარეთ მყოფი უცხოელის მიერ იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნილია სამინისტროს მიერ C კატეგორიის მოკლევადიანი ელექტრონული ვიზის გაცემა.

4. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ვიზის გაცემის მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოსთვის სავიზო განაცხადისა და ვიზის მისაღებად საჭირო დოკუმენტების წარდგენა ხდება უფლებამოსილ ორგანოში მათი უშუალოდ წარდგენის გზით.

მუხლი 17. სავიზო განაცხადის www.geoconsul.gov.ge-ს მეშვეობით წარდგენა

1. სავიზო განაცხადის www.geoconsul.gov.ge-ს მეშვეობით წარდგენის მიზნით, თავდაპირველად ელექტრონული ფორმით უნდა შეივსოს „საკონსულო მომსახურების მიღების ფორმის და დროის განსაზღვრის თაობაზე“ განაცხადი (შემდგომში – მომსახურების განაცხადი).

2. მომსახურების განაცხადის შევსების დროს უნდა მიეთითოს, რომ ვიზის გასაცემად საჭირო

დოკუმენტების მატერიალური ფორმით წარდგენა მოხდება ვიზის გამცემ ორგანოში ან დოკუმენტების მიღებაზე უფლებამოსილ სხვა ორგანოში ვიზიტის მეშვეობით, ხოლო დიპლომატიური და სპეციალური ვიზის შემთხვევაში – ვიზის გამცემ ორგანოში ვიზიტის ან ფოსტის მეშვეობით.

3. მომსახურების განაცხადის შევსების შემდეგ, www.geoconsul.gov.ge-ს მეშვეობით უნდა შეივსოს და ვიზის გამცემ ორგანოს წარედგინოს სავიზო განაცხადი. სავიზო განაცხადთან ერთად ვიზის გამცემ ორგანოს ელექტრონული ფორმით შესაძლებელია ასევე წარედგინოს ვიზის მისაღებად საჭირო სხვა დოკუმენტები.

4. სავიზო განაცხადის ელექტრონული ფორმით შევსებისას, განმცხადებელი ირჩევს ხელმოწერილი სავიზო განაცხადისა და ვიზის გასაცემად საჭირო დოკუმენტების ვიზის გამცემ ორგანოში წარდგენის თარიღს (ვიზის გამცემ ორგანოში ვიზიტის თარიღს), რომელიც სამინისტროს ან წარმომადგენლობის მიერ შეიძლება შეიცვალოს არჩეულ თარიღამდე 2 დღით ადრე.

5. სავიზო განაცხადის www.geoconsul.gov.ge-ს მეშვეობით წარდგენის შემდგომ, ვიზის გამცემ ორგანოს ხელმოწერილი სავიზო განაცხადი და ვიზის გასაცემად საჭირო ყველა სხვა დოკუმენტი უნდა წარედგინოს მატერიალური ფორმით, ვიზის გამცემ ორგანოში ან დოკუმენტების მიღებაზე უფლებამოსილ სხვა ორგანოში უშუალოდ წარდგენის გზით, ხოლო დიპლომატიური და სპეციალური ვიზების შემთხვევაში – ვიზის გამცემ ორგანოში უშუალოდ ან ფოსტის მეშვეობით წარდგენის გზით.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევის გარდა, სავიზო განაცხადისა და ვიზის გასაცემად საჭირო დოკუმენტების ვიზის გამცემი ორგანოსთვის ფოსტის მეშვეობით წარდგენა ასევე შესაძლებელია C3 და C4 კატეგორიის ვიზის გაცემის შემთხვევაში, თუ არსებობს შესაბამისი უცხო ქვეყნის საგარეო უწყების წერილობითი მომართვა უცხოელზე ვიზის გაცემის მოთხოვნით და აღნიშნულ უცხო ქვეყანაში საქართველოს არ აქვს წარმომადგენლობა.

7. საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე საიმიგრაციო ვიზის გასაცემად, ასევე D3, D5 და D6 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზების მოქმედების ვადის გასაგრძელებლად საჭირო დოკუმენტაციის მიღებასა და სამგზავრო დოკუმენტში ვიზის დატანასთან დაკავშირებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების – იუსტიციის სახლის ან სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უფლებამოსილებები განისაზღვრება სამინისტროსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ერთობლივი ბრძანებით.

8. ვიზის გამცემი ორგანოსთვის ხელმოწერილი სავიზო განაცხადისა და ვიზის მისაღებად საჭირო სხვა დოკუმენტების ფოსტის მეშვეობით გაგზავნის შემთხვევაში, საფოსტო მომსახურების ხარჯები ეკისრება განმცხადებელს. ვიზის გამცემი ორგანო არ აგებს პასუხს საფოსტო მომსახურების ხარისხზე, ასევე საფოსტო მომწოდებლების მიზეზით დოკუმენტების დაკარგვასა და დაზიანებაზე, მათ შორის, იმ პერსონალური მონაცემების გახმაურებაზე, რომლებიც მითითებულია საფოსტო გზავნილზე ან საფოსტო გზავნილში განთავსებულ დოკუმენტებში ვიზის გამცემი ორგანოს მიერ მათ მიღებამდე.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 8 სექტემბრის დადგენილება №443 - ვებგვერდი, 10.09.2026წ.

მუხლი 18. სავიზო განაცხადის e-VISA PORTAL-ის მეშვეობით წარდგენა

1. სავიზო განაცხადის e-VISA PORTAL-ის მეშვეობით წარდგენა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზღვარგარეთ მყოფ უცხოელზე სამინისტროს მიერ გაიცემა C კატეგორიის მოკლევადიანი ელექტრონული ვიზა.

2. e-VISA PORTAL-ის მეშვეობით სავიზო განაცხადის შევსების პროცესში ამავე სავიზო განაცხადში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე იგზავნება შეტყობინება ელექტრონული ფოსტის მისამართის შემდგომი დადასტურებისა და სახელმწიფო ბაჟის გადახდის უზრუნველყოფის მიზნით. შეტყობინების მეშვეობით სავიზო განაცხადის შევსებაზე უფლებამოსილ პირს ეძლევა შესაძლებლობა, გადავიდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდის გვერდზე და განახორციელოს სამინისტროს მიერ მოკლევადიანი ელექტრონული ვიზის გაცემისათვის გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის თანხის გადახდა.

3. ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინების დადასტურება უნდა განხორციელდეს შეტყობინების გაგზავნიდან 1 საათის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში სავიზო განაცხადი უქმდება.

4. სახელმწიფო ბაჟის გადახდა უნდა განხორციელდეს ელექტრონულ ფოსტაზე მიღებული შეტყობინების დადასტურებიდან 5 საათის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში სავიზო განაცხადი უქმდება.

მუხლი 19. ვიზის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია

1. ვიზის გამცემ ორგანოს ვიზის მისაღებად წარედგინება:

ა) სავიზო განაცხადი;

ბ) სამგზავრო დოკუმენტი;

გ) „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ წესით დადგენილი საკონსულო მოსაკრებლის, ხოლო სამინისტროს მიერ ვიზის გაცემისას/მოქმედების ვადის გაგრძელებისას, ასევე საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ვიზის გაცემისას – „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებითა და ამ წესით დადგენილი სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა უცხოელი გათავისუფლებულია საკონსულო მოსაკრებლის/სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან;

დ) წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ სავიზო განაცხადის ან ვიზის გასაცემად საჭირო სხვა დოკუმენტის წარდგენა ხდება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის მეშვეობით;

ე) ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ უცხოელს საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე ყოფნისათვის დაეკისრა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ჯარიმა;

ვ) დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ შემდეგ გარემოებებს:

ვ.ა) მგზავრობის მიზანს;

ვ.ბ) მგზავრობისა და საქართველოში ყოფნის ვადის განმავლობაში საკმარისი ფინანსური სახსრების არსებობას;

ვ.გ) სამოგზაურო დაზღვევის ფლობას, ხოლო საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფი პირისთვის ვიზის გაცემის შემთხვევაში – ჯანმრთელობის დაზღვევის ფლობას;

ვ.დ) უცხოელის მიერ საქართველოში საცხოვრებელი ადგილის არსებობას;

ვ.ე) საქართველოს ტერიტორიის ტრანზიტით გავლის შემთხვევაში, პირის დანიშნულების ქვეყანაში შესვლის გარანტიებს, გარდა საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვისას, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე სატვირთო ავტომანქანის ძირითად და დამატებით მძღოლებზე ტრანზიტული ვიზების გაცემის შემთხვევისა.

2. დიპლომატიური და სპეციალური მოკლევადიანი ვიზების, ასევე ორდინალური ვიზების გაცემის მიზნებისთვის არ მოითხოვება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენა.

3. საქართველოში მგზავრობისა და საქართველოში ყოფნის ვადის განმავლობაში საკმარისი ფინანსური სახსრების მინიმალური რაოდენობა საქართველოს საიმიგრაციო ვიზის (გარდა D5 კატეგორიის ვიზისა) გაცემის შემთხვევაში არის – სავიზო განაცხადის წარდგენის დღისთვის საქართველოში დადგენილი საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმის არანაკლებ ხუთმაგი ოდენობა, ვიზის მოქმედების ვადის თითოეული თვისათვის.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ.ა–ვ.ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა არ არის სავალდებულო, თუ ვიზის გამცემი ორგანოსთვის ცნობილია შესაბამისი ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობის თაობაზე. აღნიშნულის თაობაზე ვიზის გაცემაზე გადაწყვეტილების მიმღები პირის მიერ სამინისტროს შესაბამის ელექტრონულ პროგრამაში, კომენტარის ველში უნდა მიეთითოს სავიზო განაცხადის განხილვის ეტაპზე.

5. არასრულწლოვნისათვის ან/და მხარდაჭერის მიმღებად ან შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით ქმედუუნაროდ ცნობილი პირისათვის ვიზის გასაცემად, ვიზის გამცემ ორგანოს, ამ წესით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, უნდა წარედგინოს არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის (წარმომადგენლების) დამოწმებული თანხმობა, ხოლო მხარდაჭერის მიმღებს ან შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით ქმედუუნაროდ ცნობილ პირს – მხარდამჭერის/მეურვის თანხმობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. თანხმობა გამოხატული უნდა იქნეს სანოტარო წესით დამოწმებული ან ნებისმიერი საკონსულო თანამდებობის პირის ან სამინისტროს საკონსულო და დიასპორის საკითხების დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის თანდასწრებით გამოხატული წერილობითი ფორმით. ერთ-ერთი მშობლის გარდაცვალების, გარდაცვლილად გამოცხადების, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების, მშობლის უფლების ჩამორთმევის ან სხვა შემთხვევაში, როცა მშობელს ჩამორთმეული/შეზღუდული აქვს კანონიერი წარმომადგენლობის უფლება, ვიზის გამცემ ორგანოს უნდა წარედგინოს შესაბამისი გარემოების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

6. ინფექციური ან სხვა გადამდები დაავადების გავრცელების რისკის მქონე ქვეყნებში მყოფი პირებისთვის, რომლის ხასიათმა, სიმძიმემ ან/და ხანგრძლივობამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას საქართველოში მცხოვრები პირების ჯანმრთელობის დაცვას, ვიზის გაცემის მიზნით წარდგენილი უნდა იქნეს პროფილაქტიკური აცრის (დაავადებებისადმი სპეციფიკური იმუნიტეტის განვითარების მიზნით) ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტი ან ჯანმრთელობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

7. საქართველოს მოქალაქის, საქართველოში ბინადრობის ნებართვის მქონე პირის ან საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის მიერ მოწვევა უნდა გაიცეს ამ წესის №2, №3, №4 ან №5 დანართებით დამტკიცებული ფორმით. ვიზის გამცემ ორგანოს მოწვევა უნდა წარედგინოს საქართველოში სანოტარო წესით დამოწმებული დედნის სახით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შესაძლებელია მოწვევის (მთლიანი დოკუმენტის) და მისი სანოტარო წესით დამოწმების ფაქტის გადამოწმება სსიპ – საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ინტერნეტგვერდის მეშვეობით. ამ შემთხვევაში, ვიზის გამცემ ორგანოს მოწვევა შეიძლება წარედგინოს ასლის სახით. მოწვევის გამცემი პირი მოწვევის გაცემის მომენტში უნდა იმყოფებოდეს საქართველოში.

8. საქართველოს სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობის, საკონსულო დაწესებულებისა და საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გაცემული მოწვევა უნდა შეიცავდეს ამ წესის №6 დანართით განსაზღვრულ სავალდებულო რეკვიზიტებს.

9. მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვიზის გაცემის, ასევე ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ.ა“ და „ვ.დ-ვ.ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების დადასტურების მიზნით, ვიზის გამცემ ორგანოს უნდა წარედგინოს ამ წესის №7 დანართით გათვალისწინებული დოკუმენტები.

10. საჭიროების შემთხვევაში, ვიზის გასაცემად საჭირო დამატებითი ინფორმაციის მოპოვების ან წარდგენილი დოკუმენტების/ინფორმაციის ნამდვილობისა და სისწორის დადასტურების მიზნით, ვიზის გამცემი ორგანო უფლებამოსილია, მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტები.

11. საკონსულო თანამდებობის პირი უფლებამოსილია, ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე ვიზის მიღების მსურველ პირს მოსთხოვოს კონკრეტული სახის დოკუმენტის წარდგენა ან ვიზის გაცემის საკითხის გადაწყვეტისას გაითვალისწინოს/მიიღოს კონკრეტული სახის დოკუმენტი.

12. განმცხადებელი ვალდებულია, ვიზის გამცემ ორგანოს წარუდგინოს ვიზის გაცემის საკითხის გადაწყვეტისათვის საჭირო ყველა დოკუმენტი/ინფორმაცია.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 ივნისის დადგენილება №307 – ვებგვერდი, 30.06.2021წ.
საქართველოს მთავრობის 2025 წლის 18 აგვისტოს დადგენილება №358 - ვებგვერდი, 19.08.2025წ.
საქართველოს მთავრობის 2026 წლის 31 მარტის დადგენილება №133 - ვებგვერდი, 02.04.2026წ.
საქართველოს მთავრობის 2026 წლის 8 სექტემბრის დადგენილება №443 - ვებგვერდი, 10.09.2026წ.

მუხლი 20. ზოგადი მოთხოვნები წარსადგენი დოკუმენტების მიმართ

1. ვიზის გასაცემად საჭირო დოკუმენტი სამინისტროს უნდა წარედგინოს საქართველოს სახელმწიფო ან ინგლისურ ენაზე. სხვა უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტი წარდგენილი უნდა იქნეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებულ ქართულ ან ინგლისურენოვან თარგმანთან ერთად.

2. ვიზის გასაცემად საჭირო დოკუმენტი წარმომადგენლობას უნდა წარედგინოს საქართველოს სახელმწიფო ან ინგლისურ ენაზე, ხოლო მოკლევადიანი ვიზის გაცემისათვის საჭირო დოკუმენტი შეიძლება ასევე წარედგინოს წარმომადგენლობის მიერ განსაზღვრულ ნებისმიერ უცხო ენაზე. ამ პუნქტით განსაზღვრულის გარდა, ნებისმიერ სხვა უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტი წარდგენილი უნდა იქნეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებულ ქართულ ან ინგლისურენოვან თარგმანთან ერთად, ხოლო მოკლევადიანი ვიზის შემთხვევაში – შესაძლოა წარდგენილი იქნეს წარმომადგენლობის მიერ განსაზღვრულ ნებისმიერ უცხოენოვან თარგმანთან ერთად.

3. სამგზავრო დოკუმენტი, რომელიც შეიცავს პირის პერსონალურ მონაცემებს ლათინური ტრანსლიტერაციით, შეიძლება წარდგენილი იქნეს თარგმანის გარეშე.

4. საქართველოს მოკლევადიანი ვიზის გაცემის მიზნებისათვის ვიზის გამცემ ორგანოს დოკუმენტები წარედგინება ლეგალიზებისა და აპოსტილით დამოწმების გარეშე, დედნებისა და მათი ასლების სახით. დოკუმენტის ნამდვილობაში ეჭვის შეტანის შემთხვევაში, ვიზის გამცემი ორგანო უფლებამოსილია, მოითხოვოს დოკუმენტის ლეგალიზება ან აპოსტილით დამოწმება. დოკუმენტის დედნისა და ასლის ურთიერთშედარების შემდეგ, დოკუმენტის დედანი უბრუნდება განმცხადებელს, ხოლო ასლები რჩება ვიზის გამცემ ორგანოში ან დოკუმენტების მიღებაზე უფლებამოსილების მქონე სხვა ორგანოში.

5. საქართველოს გრძელვადიანი ვიზის გაცემის მიზნით, ვიზის გამცემ ორგანოს დოკუმენტები წარედგინება ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული დედნების ან ასლების სახით (თუ დოკუმენტი საჭიროებს ლეგალიზებას ან აპოსტილით დამოწმებას). დიპლომატიური და სპეციალური გრძელვადიანი ვიზების გაცემის მიზნით, ვიზის გამცემ ორგანოს დოკუმენტების დედნები წარედგინება ლეგალიზების/აპოსტილით დამოწმების გარეშე, ხოლო დოკუმენტების ასლების წარდგენის შემთხვევაში – ლეგალიზებული/აპოსტილით დამოწმებული ან სანოტარო წესით დამოწმებული სახით.

6. მოწვევა შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ან ინგლისურ ენაზე, ამავე პუნქტით განსაზღვრული თავისებურების გათვალისწინებით. მოსაწვევი პირის სახელის, გვარისა და სხვა გვარ(ებ)ის მონაცემები უნდა მიეთითოს მხოლოდ ინგლისურ ენაზე, ლათინური ტრანსლიტერაციით.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 18 აგვისტოს დადგენილება №358 - ვებგვერდი, 19.08.2025წ.
საქართველოს მთავრობის 2026 წლის 8 სექტემბრის დადგენილება №443 - ვებგვერდი, 10.09.2026წ.

მუხლი 21. სავიზო განაცხადი

1. ვიზის გაცემის მიზნით უფლებამოსილი პირი ავსებს სამინისტროს ნორმატიული აქტით დადგენილი ფორმის სავიზო განაცხადს, ხოლო სამინისტროს მიერ C კატეგორიის მოკლევადიანი ელექტრონული ვიზის გაცემის მიზნით – e-VISA PORTAL-ზე განთავსებულ სავიზო განაცხადს.

2. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ვიზის გაცემის მიზნით, უფლებამოსილი პირი ავსებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნორმატიული აქტით დამტკიცებული ფორმის სავიზო განაცხადს.

3. ვიზის მიღების მსურველი პირის ოჯახის წევრები და სხვა თანმხლები პირები, მიუხედავად ასაკისა, ვიზის მიღების მიზნით ავსებენ და ვიზის გამცემ ორგანოს წარუდგენენ დამოუკიდებელ სავიზო განაცხადს.

4. სამინისტროსა და წარმომადგენლობას სავიზო განაცხადი წარედგინება ვიზის მოქმედების ვადის

დაწყებამდე არა უმეტეს სამი თვით ადრე, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოს – საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო გამტარ პუნქტში ინსპექტირებისას.

5. სამინისტროს, საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე საიმიგრაციო ვიზის გაცემის მიზნით, სავიზო განაცხადი წარედგინება უცხოელის საქართველოში კანონიერი საფუძვლით ყოფნის ვადის ამოწურვამდე არა უგვიანეს 45 დღისა.

6. სავიზო განაცხადის წარდგენა შესაძლებელია წინა ვიზის მოქმედების ვადის განმავლობაშიც, მაგრამ მისაღები ვიზის მოქმედების ვადის დაწყებამდე არა უმეტეს სამი თვით ადრე.

7. სავიზო განაცხადი ივსება და ვიზის გამცემ ორგანოს წარედგინება:

ა) ვიზის მიღების მსურველი სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირის მიერ;

ბ) არასრულწლოვანი ან მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირის ერთ-ერთი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ;

გ) მხარდამჭერის მიერ, თუ ვიზის მიღების მსურველი პირი წარმოადგენს მხარდაჭერის მიმღებ პირს;

დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული მინდობილობის მქონე პირის მიერ.

მუხლი 22. სამგზავრო დოკუმენტი

ვიზის მისაღებად წარდგენილი სამგზავრო დოკუმენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს ვიზის მოქმედების ვადას არანაკლებ სამი თვით, გარდა ამ მუხლის „ა[1]“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ა[1]) C5 კატეგორიის ვიზის გაცემის შემთხვევაში სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების ვადა უნდა შეადგენდეს ვიზის მოქმედების ვადის დაწყებიდან არანაკლებ 2 წელს;

ბ) უნდა შეიცავდეს ვიზის ბლანკის დასატანად ვარგის, არანაკლებ ორ თავისუფალ გვერდს, გარდა e-VISA PORTAL-ის მეშვეობით სამგზავრო დოკუმენტისა;

გ) არ უნდა იყოს დაზიანებული და არ უნდა შეიცავდეს არაოფიციალურ ჩანაწერებს. e-VISA PORTAL-ის მეშვეობით წარდგენილი სამგზავრო დოკუმენტის შემთხვევაში მოწმდება სამგზავრო დოკუმენტის პერსონალურ მონაცემთა გვერდი;

დ) გაცემული უნდა იყოს წინა 10 წლის განმავლობაში.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 8 ივნისის დადგენილება №253 - ვებგვერდი, 08.06.2026წ.

მუხლი 23. სამოგზაურო და ჯანმრთელობის დაზღვევა

1. ვიზის მიღების მსურველი პირი უნდა ფლობდეს საქართველოში ყოფნის პერიოდში მოქმედ სამოგზაურო/ჯანმრთელობის დაზღვევას, რომელიც საჭიროების შემთხვევაში დაფარავს მის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და გარდაცვალებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ხარჯს. სამოგზაურო/ჯანმრთელობის დაზღვევა უნდა მოქმედებდეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

2. ვიზის მისაღებად განმცხადებელმა უნდა წარადგინოს სამოგზაურო დაზღვევა (გარდა D5 კატეგორიის ვიზისა) შემდეგი პირობის დაცვით – გრძელვადიანი ვიზის მისაღებად წარსადგენი სამოგზაურო დაზღვევა მოქმედი უნდა იყოს ვიზის მოქმედების ვადის განმავლობაში.

3. მრავალჯერადი ვიზის შემთხვევაში, მეორე და ყოველი შემდგომი ვიზიტისას სამოგზაურო დაზღვევის ფლობის ფაქტი მოწმდება საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო-გამტარ

პუნქტში ინსპექტირებისას. განმცხადებელი სავიზო განაცხადის წარდგენისას ადასტურებს, რომ ინფორმირებულია საქართველოში შემდგომი ვიზიტების პერიოდში სამოგზაურო დაზღვევის ფლობის აუცილებლობის თაობაზე.

4. საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფი პირისთვის ვიზის გაცემის მიზნით წარსადგენი ჯანმრთელობის დაზღვევა მოქმედი უნდა იყოს მისაღები ვიზის მოქმედების ვადის განმავლობაში.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 8 სექტემბრის დადგენილება №443 - ვებგვერდი, 10.09.2026წ.

მუხლი 24. სავიზო განაცხადის დასაშვებობა

1. ხელმოწერილი სავიზო განაცხადისა და ვიზის გასაცემად საჭირო ყველა სხვა დოკუმენტის ვიზის გამცემი ორგანოსთვის მატერიალური ფორმით წარდგენის შემდეგ მოწმდება სავიზო განაცხადის დასაშვებობის საკითხი.

2. სავიზო განაცხადის დასაშვებობის საკითხის განხილვისას მოწმდება:

ა) წარდგენილი იქნა თუ არა სავიზო განაცხადი ამ წესით დადგენილი ფორმით;

ბ) წარდგენილი იქნა თუ არა სამგზავრო დოკუმენტი და აკმაყოფილებს თუ არა ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს;

გ) გადახდილი იქნა თუ არა ვიზის გაცემისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სავიზო მოსაკრებელი/სახელმწიფო ბაჟი, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. თუ ვიზის გამცემ ორგანოს არ წარედგინა ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული რომელიმე დოკუმენტი, სავიზო განაცხადი არ ითვლება დასაშვებად და სავიზო განაცხადი არ განიხილება. ვიზის მიღების მსურველ უცხოელს მიეწოდება ინფორმაცია სავიზო განაცხადის დასაშვებობის საკითხზე.

4. თუ ვიზის გამცემ ორგანოს წარედგინა ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტები, სავიზო განაცხადი ითვლება დასაშვებად (წარდგენილად) და ვიზის გამცემი ორგანო იწყებს მის განხილვას.

5. სავიზო განაცხადის დასაშვებად ჩათვლის შემთხვევაში, ვიზის მიღების მსურველ უცხოელს ეგზავნება/გადაეცემა სამახსოვრო ბარათი. სამახსოვრო ბარათი არ გაიცემა დიპლომატიური და სპეციალური ვიზების, ასევე e-VISA PORTAL-ის მეშვეობით წარდგენილი სავიზო განაცხადის საფუძველზე მოკლევადიანი ელექტრონული ვიზის გაცემის შემთხვევებში.

6. ვიზის გამცემი ორგანო ვალდებულია, გააუქმოს www.geoconsul.gov.ge-ს მეშვეობით წარდგენილი მომსახურების განაცხადი და სავიზო განაცხადი, თუ მომსახურების განაცხადში ან/და სავიზო განაცხადში მითითებული ინფორმაციიდან ივარაუდება, რომ მათი წარდგენის მიზანი არ არის ვიზის მიღება.

მუხლი 25. სავიზო განაცხადის განხილვის ძირითადი პრინციპები

1. სავიზო განაცხადის განხილვის დროს ვიზის გამცემი ორგანო იკვლევს, არსებობს თუ არა ვიზის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები.

2. თუ გამოვლინდა, რომ ვიზის გამცემ ორგანოს არ წარედგინა ვიზის გაცემისათვის საჭირო რაიმე დოკუმენტი/ინფორმაცია ან წარედგინა არასათანადო წესით, ვიზის გამცემი ორგანო უფლებამოსილია, აღნიშნულის შესახებ აცნობოს ვიზის მიღების მსურველ უცხოელს და განუსაზღვროს ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად. თუ დადგენილ ვადაში არ მოხდება ხარვეზის აღმოფხვრა, ვიზის გამცემი ორგანო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ვიზის გაცემის საკითხზე მიმდინარე წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

3. საჭიროების შემთხვევაში, ვიზის გამცემი ორგანო უფლებამოსილია, ვიზის მიღების მსურველ

უცხოელს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტის/ინფორმაციის წარდგენა ან/და ვიზის გასაცემად საჭირო დამატებითი ინფორმაციის მოპოვების ან წარდგენილი დოკუმენტების/ ინფორმაციის ნამდვილობისა და სისწორის დადასტურების მიზნით, ვიზის მიღების მსურველი უცხოელი ან/და მისი წარმომადგენელი მოიწვიოს გასაუბრებაზე.

4. სავიზო განაცხადის განხილვა ეფუძნება განმცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტების ნამდვილობასა და სანდოობას, მიწოდებული ინფორმაციის სისწორესა და უტყუარობას.

5. წინა ვიზის გაცემაზე უარი ავტომატურად არ იწვევს ახალი ვიზის გაცემაზე უარის თქმას. ახალი სავიზო განაცხადი ფასდება ყველა არსებული ინფორმაციის საფუძველზე.

6. წარმომადგენლობა ვალდებულია, დიპლომატიური, სპეციალური და საიმიგრაციო ვიზების გაცემის საკითხი შეათანხმოს სამინისტროს საკონსულო და დიასპორის საკითხების დეპარტამენტთან.

7. დაუშვებელია, პირი ფლობდეს ერთზე მეტ მოქმედ ვიზას.

8. თუ ვიზის მიღების მსურველი პირი აღარ არის დაინტერესებული ვიზის მიღების საკითხით, ის უფლებამოსილია, მიმართოს ვიზის გამცემ ორგანოს და მოითხოვოს წარმოების შეწყვეტა. ვიზის გამცემი ორგანო იმ შემთხვევაში წყვეტს წარმოებას, თუ ვიზის გაცემის საკითხზე არ არის მიღებული გადაწყვეტილება. სამინისტროსა და წარმომადგენლობის მიერ საქართველოს ვიზის გაცემის საკითხზე მიმდინარე წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში გამოიცემა ამ წესის №8 დანართით განსაზღვრული ფორმის გადაწყვეტილება.

9. ვიზის გამცემი ორგანო უფლებამოსილია, ვიზის გაცემის საკითხთან დაკავშირებული წარმოება შეწყვიტოს თავისი ინიციატივით, თუ დადგინდება, რომ ერთი და იმავე პირის მიერ ერთი და იმავე პირობებით მოთხოვნილია რამდენიმე ვიზის გაცემა.

10. ამ წესით გათვალისწინებულისგან განსხვავებული ვიზის გაცემის წესი და პირობები უცხოელის მიმართ გამოიყენება ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 18 აგვისტოს დადგენილება №358 - ვებგვერდი, 19.08.2025წ.

მუხლი 25[1]. D6 კატეგორიის ვიზის გაცემისა და მისი მოქმედების ვადის გაგრძელების პრინციპები

ამ წესის 25-ე მუხლით განსაზღვრულ ძირითად პრინციპებთან ერთად, D6 კატეგორიის ვიზის გაცემისა და მისი მოქმედების ვადის გაგრძელებისას გამოიყენება შემდეგი პრინციპები:

ა) საქართველოში ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის მიზნით მომავალ/მყოფ პირზე, ასევე მის და-ძმაზე D6 კატეგორიის ვიზის გაცემის ან მისი მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება, თუ გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის ისინი არიან არასრულწლოვანები, გარდა ამ წესის 34-ე მუხლის 2[1] პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი შემთხვევისა;

ბ) საქართველოში ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლებლად მომავალი/მყოფი არასრულწლოვანი პირის მშობლების/ კანონიერი წარმომადგენლებისა და არასრულწლოვანი და-ძმისათვის D6 კატეგორიის ვიზის გაცემის ან მისი მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე სავიზო განაცხადი შეიძლება, წარდგენილ იქნეს როგორც აღნიშნული პირის სავიზო განაცხადთან ერთად, ისე ამ პირზე D6 კატეგორიის ვიზის გაცემის შემდეგ. მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე და არასრულწლოვან და-ძმაზე D6 კატეგორიის ვიზის გაცემის ან მისი მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის, საქართველოში სწავლის მიზნით მომავალი/მყოფი პირი უნდა იყოს არასრულწლოვანი და ის უნდა ფლობდეს ან მასზე პარალელურად გაიცეს D6 კატეგორიის ვიზა.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 8 სექტემბრის დადგენილება №443 - ვებგვერდი, 10.09.2026წ.

მუხლი 26. ვიზის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოკვლევა

1. ვიზის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად სამინისტრო ან/და ვიზის გამცემი ორგანო უფლებამოსილია, შესაბამისი ინფორმაცია გამოითხოვოს სახელმწიფო ორგანოებიდან, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირებისგან, რომლებიც ვიზის გამცემ ორგანოს მოთხოვნილ ინფორმაციას აწვდიან შემდეგ ვადებში:

ა) მოკლევადიანი ვიზის შემთხვევაში – მიმართვის მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში;

ბ) გრძელვადიანი ვიზის შემთხვევაში – მიმართვის მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში;

ბ[1]) D3 ან D6 კატეგორიის ვიზის გაცემის საკითხის დაჩქარებული წესით განხილვის შემთხვევაში – მიმართვის მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში;

გ) D5 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზის შემთხვევაში – მიმართვის მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში;

დ) მოკლევადიანი ვიზის შემთხვევაში, როცა ვიზის გაცემის საკითხის განხილვის ვადა შემცირებულია 5 სამუშაო დღემდე – არა უგვიანეს მიმართვის მიღებიდან მომდევნო სამუშაო დღისა.

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადა არ არის საკმარისი ინფორმაციის გასაცემად, ინფორმაციის გაცემაზე ვალდებული ორგანო/პირი აღნიშნულის თაობაზე დასაბუთებული წერილობითი მიმართვით აცნობებს სამინისტროს ან/და ვიზის გამცემ ორგანოს. დასაბუთებული წერილობითი მომართვის საფუძველზე, ვიზის გამცემი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ვიზის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადის, გარდა e-VISA PORTAL-ის მეშვეობით წარდგენილი სავიზო განაცხადის საფუძველზე მოკლევადიანი ელექტრონული ვიზის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადისა, 30 კალენდარულ დღემდე გაზრდის თაობაზე. ამ შემთხვევაში, ინფორმაციის გაცემაზე ვალდებული ორგანო/პირი სამინისტროს ან/და ვიზის გამცემ ორგანოს ინფორმაციას აწვდის მიმართვის მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.

3. ამ წესის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული ვიზის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოვლენის მიზნით, ინფორმაცია გამოითხოვება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან ინფორმაციის გამოთხოვის შემთხვევები, წესი და პირობები განისაზღვრება სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3[1]. ამ წესის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვიზის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლის გამოვლენის მიზნით, ინფორმაცია გამოითხოვება საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან ინფორმაციის გამოთხოვის შემთხვევები, წესი და პირობები განისაზღვრება სამინისტროსა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ერთობლივი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. სახელმწიფო ორგანოების მიერ ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილ ვადებში სამინისტროსთვის ან/და ვიზის გამცემი ორგანოსთვის საჭირო ინფორმაციის წარუდგენლობის შემთხვევაში, მიიჩნევა, რომ არ არსებობს ვიზის გაცემაზე უარის თქმის შესაბამისი საფუძველი და ვიზის გამცემი ორგანო ვალდებულია, არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, საკითხის განხილვა დაასრულოს დადგენილ ვადაში.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 2 დეკემბრის დადგენილება №603 - ვებგვერდი, 02.12.2015წ.
საქართველოს მთავრობის 2026 წლის 7 მაისის დადგენილება №184 - ვებგვერდი, 07.05.2026წ.
საქართველოს მთავრობის 2026 წლის 8 სექტემბრის დადგენილება №443 - ვებგვერდი, 10.09.2026წ.

მუხლი 27. გადაწყვეტილების მიღების ვადები

1. უცხოელის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზის გამცემი ორგანოს მიერ მოპოვებული მასალის საფუძველზე, ვიზის გამცემი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ვიზის გაცემის ან ვიზის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე.

2. სამინისტროსა და წარმომადგენლობის მიერ ვიზის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, გამოიცემა ამ წესის №9 დანართით განსაზღვრული ფორმის გადაწყვეტილება, ხოლო საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ვიზის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის გადაწყვეტილება.

3. ვიზის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება სავიზო განაცხადის წარდგენიდან:

ა) 10 კალენდარული დღის ვადაში – მოკლევადიანი ვიზის შემთხვევაში;

ბ) 5 სამუშაო დღის ვადაში – e-VISA PORTAL-ის მეშვეობით წარდგენილი სავიზო განაცხადის საფუძველზე მოკლევადიანი ელექტრონული ვიზის გაცემის შემთხვევაში, გარდა C5 კატეგორიის მოკლევადიანი ელექტრონული ვიზისა;

ბ[1]) C5 კატეგორიის მოკლევადიანი ელექტრონული ვიზა გაიცემა სავიზო განაცხადის წარდგენიდან მე-5 სამუშაო დღეს. დამატებითი გარემოებების გამოკვლევის საჭიროების შემთხვევაში C5 კატეგორიის მოკლევადიანი ელექტრონული ვიზის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება 10 სამუშაო დღის ვადაში;

გ) 30 კალენდარული დღის ვადაში – გრძელვადიანი ვიზის შემთხვევაში;

დ) 10 კალენდარული დღის ვადაში – D5 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზის გაცემის შემთხვევაში.

4. მოკლევადიანი ვიზის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ვადა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოკლევადიანი ელექტრონული ვიზის გაცემა ხდება e-VISA PORTAL-ის მეშვეობით წარდგენილი სავიზო განაცხადის საფუძველზე, შეიძლება გახანგრძლივდეს 30 კალენდარული დღით, თუ საჭიროა სავიზო განაცხადის შემდგომი შემოწმება. ვიზის გამცემი ორგანო უზრუნველყოფს ვიზის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადის გაზრდის შესახებ ინფორმაციის განმცხადებლისთვის მიწოდებას.

5. წარმომადგენლობა მოკლევადიანი ვიზის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ვიზის გაცემის საკითხის განხილვის დაწყებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში, შემდეგ შემთხვევებში:

ა) A1 და B1 კატეგორიის ვიზის გაცემის შემთხვევაში – თუ მგზავრობის მიზანი არ იძლევა ვიზის გაცემის უფრო ხანგრძლივი ვადის გამოყენების შესაძლებლობას;

ბ) C4 კატეგორიის ვიზის გაცემის შემთხვევაში – საქართველოში სამკურნალოდ მომავალ პირებზე, თუ დასტურდება მკურნალობის დაუყოვნებლივ ჩატარების აუცილებლობა.

6. ვიზის გაცემის საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება განმცხადებელს ეცნობება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, ხოლო e-VISA PORTAL-ის მეშვეობით წარდგენილი სავიზო განაცხადის საფუძველზე მოკლევადიანი ელექტრონული ვიზის გაცემის საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება – შესაბამისი სავიზო განაცხადის წარდგენიდან მე-5 სამუშაო დღეს.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 7 მაისის დადგენილება №184 - ვებგვერდი, 07.05.2026წ.

მუხლი 27[1]. ვიზის გაცემისას საკონსულო მოსაკრებლისა და სახელმწიფო ბაჟის ოდენობა

1. „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 7[2] და 7[4] პუნქტების შესაბამისად, ვიზის გაცემის საკითხის განხილვისათვის საკონსულო მოსაკრებლის/სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) წარმომადგენლობის მიერ მოკლევადიანი და გრძელვადიანი საქართველოს ვიზის გაცემის საკითხის განხილვა – 20 აშშ დოლარი, გარდა ამავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა;

ბ) წარმომადგენლობის მიერ D3 და D6 კატეგორიის გრძელვადიანი ვიზის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება:

ბ.ა) 30-ე კალენდარულ დღეს – 20 აშშ დოლარი;

ბ.ბ) დაჩქარებული წესით, მე-15 სამუშაო დღეს – 100 აშშ დოლარი;

ბ.გ) დაჩქარებული წესით, მე-10 სამუშაო დღეს – 200 აშშ დოლარი.

2. სამინისტროს საკონსულო და დიასპორის საკითხების დეპარტამენტის მიერ e-VISA PORTAL-ის მეშვეობით წარდგენილი სავიზო განაცხადის საფუძველზე მოკლევადიანი ელექტრონული ვიზის გაცემის საკითხის განხილვა – 20 აშშ დოლარი, გარდა ამავე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

3. სამინისტროს საკონსულო და დიასპორის საკითხების დეპარტამენტის მიერ e-VISA PORTAL-ის მეშვეობით წარდგენილი სავიზო განაცხადის საფუძველზე C5 კატეგორიის მოკლევადიანი ელექტრონული ვიზის გაცემის საკითხის განხილვა – 300 აშშ დოლარი.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 7 მაისის დადგენილება №184 - ვებგვერდი, 07.05.2026წ.
საქართველოს მთავრობის 2026 წლის 8 სექტემბრის დადგენილება №443 - ვებგვერდი, 10.09.2026წ.

მუხლი 28. ვიზის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები

1. უცხოელს ვიზის გაცემაზე უარი უნდა ეთქვას, თუ:

ა) მას არ აქვს საქართველოში შემოსვლისათვის აუცილებელი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები;

ბ) მას აკრძალული აქვს საქართველოში შემოსვლა ან არ გადაუხდია ჯარიმა, რომელიც დაწესებულია საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე ყოფნისათვის;

ბ[1]) საქართველოს ვიზის მიღების/საქართველოში შემოსვლის მსურველ უცხოელს არ აქვს გადახდილი საქართველოს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული ჯარიმა;

გ) მან ვიზის მისაღებად ან მისი მოქმედების ვადის გასაგრძელებლად წარადგინა არასრული, ყალბი ან არასწორი მონაცემები/ინფორმაცია/ დოკუმენტები;

დ) მან ვიზის მისაღებად ან მისი მოქმედების ვადის გასაგრძელებლად საჭირო დოკუმენტები/ინფორმაცია წარადგინა არასათანადო წესით;

ე) მას არ აქვს სამოგზაურო/ჯანმრთელობის დაზღვევა ან საქართველოში ცხოვრებისათვის და უკან დასაბრუნებლად საკმარისი ფინანსური სახსრები;

ვ) არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ საქართველოში მისი ყოფნა საფრთხეს შეუქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს, საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში მცხოვრები სხვა პირების ჯანმრთელობის, უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას;

ზ) საგარეო-პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, მიუღებელია მისი საქართველოში ყოფნა;

თ) არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ იგი ვიზის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, კანონიერი საფუძვლის გარეშე, დარჩება საქართველოში ან დაარღვევს შესაბამისი კატეგორიის ვიზის გაცემისათვის კანონმდებლობით განსაზღვრულ პირობებს;

ი) იგი არ იძლევა ინფორმაციას ან იძლევა ყალბ ინფორმაციას თავისი პიროვნებისა და მგზავრობის მიზნის შესახებ;

კ) აღარ არსებობს ან ვერ დასტურდება მიზანი, რომლის უზრუნველსაყოფადაც უნდა გაცემულიყო ვიზა;

ლ) არ აკმაყოფილებს ვიზის მისაღებად საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებს.

2. უცხოელს ვიზის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ:

ა) მან საქართველოში ყოფნისას ჩაიდინა დანაშაული ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ან დაარღვია საქართველოში უცხოელთა ყოფნის წესები;

ბ) იგი ბოლო 3 წლის განმავლობაში დაექვემდებარა გაძევებას საქართველოდან, მიუხედავად იმისა, გავრცელდა თუ არა მასზე საქართველოში შემოსვლის აკრძალვა.

2^1. უცხოელს C5 კატეგორიის მოკლევადიანი ელექტრონული ვიზის გაცემაზე უარი შეიძლება, ეთქვას საქართველოს საიმიგრაციო პოლიტიკიდან გამომდინარე.

3. უცხოელს მოკლევადიანი ვიზის გაცემაზე უარი უნდა ეთქვას, თუ ვიზის მოქმედების ვადის დაწყების მოთხოვნილი თარიღისთვის ამოწურული აქვს 90 კალენდარული დღის ვადით საქართველოში ყოფნის უფლება 180-დღიან პერიოდში.

4. უცხოელს უარი უნდა ეთქვას e-VISA PORTAL-ის მეშვეობით წარდგენილი სავიზო განაცხადის საფუძველზე მოკლევადიანი ელექტრონული ვიზის გაცემაზე, თუ აღნიშნული ვიზის გაცემის საკითხზე გადაწყვეტილების მიღების დღეს უცხოელი იმყოფება საქართველოში.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 26 დეკემბრის დადგენილება №596 - ვებგვერდი, 29.12.2025წ.
საქართველოს მთავრობის 2026 წლის 7 მაისის დადგენილება №184 - ვებგვერდი, 07.05.2026წ.
საქართველოს მთავრობის 2026 წლის 8 სექტემბრის დადგენილება №443 - ვებგვერდი, 10.09.2026წ.

თავი VI. ვიზის გაცემა

მუხლი 29. ვიზის გაცემა

1. ვიზა შეიძლება გაიცეს სამგზავრო დოკუმენტში ვიზის ბლანკის დატანის გზით ან ელექტრონული ფორმით – ელექტრონული ვიზა.

2. სამინისტროსა და წარმომადგენლობის მიერ გასაცემი ვიზის ბლანკის ფორმა, მისი შევსებისა და სამგზავრო დოკუმენტში დატანის წესი მტკიცდება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ნორმატიული აქტით, ხოლო საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გასაცემი ვიზის ბლანკის ფორმა, მისი შევსებისა და სამგზავრო დოკუმენტში დატანის წესი – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ნორმატიული აქტით.

3. სამინისტროსა და წარმომადგენლობის მიერ გასაცემი ელექტრონული ვიზის ბლანკის ფორმა და მისი შევსების წესი, ასევე წარმომადგენლობის მიერ ელექტრონული ვიზის გაცემის შემთხვევები განისაზღვრება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. სამგზავრო დოკუმენტის დაკარგვის ან გამოყენებისთვის უვარგისობისას (გაცვეთა, დაზიანება და ა.შ.), შესაბამის სამგზავრო დოკუმენტში დატანილი ვიზის სხვა სამგზავრო დოკუმენტში გადატანა ან გაცემული ვიზის აღდგენა არ ხდება.

მუხლი 30. სამგზავრო დოკუმენტის გადაცემა

1. ვიზის გაცემის საკითხზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ვიზის გამცემი ორგანოსთვის წარდგენილი სამგზავრო დოკუმენტი გადაეცემა:

ა) ვიზის მიმღებ სრულწლოვან ქმედუნარიან პირს;

ბ) არასრულწლოვნის, მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირის კანონიერ წარმომადგენელს, თუ ვიზა გაიცა არასრულწლოვან, ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფ პირზე;

გ) სავიზო განაცხადში მითითებულ ნებისმიერ სრულწლოვან ქმედუნარიან პირს;

დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული მინდობილობის მქონე პირს;

ე) დიპლომატიური და სპეციალური ვიზების შემთხვევაში, შესაბამისი ქვეყნის საგარეო უწყების, დიპლომატიური წარმომადგენლობის, საკონსულო დაწესებულების ან იმ ორგანიზაციის უფლებამოსილ პირს, რომლის თანამშრომელიც წარმოადგენდა ვიზის მიღების მსურველ უცხოელს.

2. სამგზავრო დოკუმენტის გადაცემა შეიძლება ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირისთვის პირადად გადაცემის გზით, ასევე სავიზო განაცხადში მითითებულ მისამართზე ფოსტის მეშვეობით გაგზავნით. სამგზავრო დოკუმენტის ფოსტით გაგზავნისას, საფოსტო მომსახურების ხარჯები ეკისრება განმცხადებელს. ვიზის გამცემი ორგანო არ არის პასუხისმგებელი საფოსტო მომსახურების ხარისხზე, მათ შორის, სამგზავრო დოკუმენტის დაზიანებასა და დაკარგვაზე.

3. სამგზავრო დოკუმენტის უფლებამოსილი პირისათვის გადაცემის შემთხვევაში (გარდა ფოსტით გაგზავნის შემთხვევისა), აღნიშნული პირი შესაბამისი დოკუმენტის მისთვის გადაცემის ფაქტს ადასტურებს ხელმოწერით.

თავი VII. სამინისტროს მიერ მოკლევადიანი ელექტრონული ვიზის გაცემა

მუხლი 31. მოკლევადიანი ელექტრონული ვიზის გაცემის პირობები

1. საზღვარგარეთ მყოფი უცხოელი უფლებამოსილია, C კატეგორიის მოკლევადიანი ელექტრონული ვიზის გაცემის მიზნით სავიზო განაცხადი წარადგინოს e-VISA PORTAL-ის მეშვეობით.

2. მოკლევადიანი ელექტრონული ვიზა გაიცემა საზღვარგარეთ მყოფ იმ უცხოელებზე, რომლებიც ფლობენ ერთ-ერთ შემდეგი სახის სამგზავრო დოკუმენტს:

ა) ორდინალურ პასპორტს;

ბ) სამსახურებრივ/ოფიციალურ/სპეციალურ პასპორტს;

გ) დიპლომატიურ პასპორტს;

დ) მოქალაქეობის არმქონე პირის სამგზავრო დოკუმენტს.

3. სამინისტროს საკონსულო და დიასპორის საკითხების დეპარტამენტს, სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ შემთხვევებში და წესით, სავიზო განაცხადთან ერთად, e-VISA PORTAL-ის მეშვეობით უნდა წარედგინოს სამგზავრო დოკუმენტის ასლი.

4. საზღვარგარეთ მყოფმა უცხოელმა, სამინისტროს საკონსულო და დიასპორის საკითხების დეპარტამენტისგან მოკლევადიანი ელექტრონული ვიზის მიღების მიზნით, e-VISA PORTAL-ის

მეშვეობით სავიზო განაცხადის წარდგენამდე, ამ წესის მე-18 მუხლის შესაბამისად უნდა უზრუნველყოს „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ წესით განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

5. e-VISA PORTAL-ის მეშვეობით წარდგენილი სავიზო განაცხადის საფუძველზე, C კატეგორიის მოკლევადიანი ელექტრონული ვიზის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სამინისტროს საკონსულო და დიასპორის საკითხების დეპარტამენტი.

6. სამინისტროს საკონსულო და დიასპორის საკითხების დეპარტამენტის მიერ საზღვარგარეთ მყოფ უცხოელზე მოკლევადიანი ელექტრონული ვიზა, სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ შემთხვევებში, გაიცემა არაუმეტეს 90 კალენდარული დღის ვადით ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში ან 30 კალენდარული დღის ვადით, გარდა C5 კატეგორიის მოკლევადიანი ელექტრონული ვიზისა, რომელიც გაიცემა 5 წლის მოქმედების ვადითა და საქართველოში 1 წლის ვადით ყოფნის უფლებით.

7. C5 კატეგორიის მოკლევადიანი ელექტრონული ვიზა ავტომატურად წყვეტს მოქმედებას, თუ უცხოელი მოიპოვებს იმავე კატეგორიის ახალ ვიზას. ამასთან, ახალი C5 კატეგორიის მოკლევადიანი ელექტრონული ვიზის საფუძველზე საქართველოში 1 წლის ვადით ყოფნის უფლების ათვლა იწყება აღნიშნული ვიზის საფუძველზე უცხოელის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის პირველად გადმოკვეთის დღიდან.

8. სამინისტროს საკონსულო და დიასპორის საკითხების დეპარტამენტი C5 კატეგორიის მოკლევადიან ელექტრონულ ვიზას გასცემს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან შეთანხმებით.

9. იმ ქვეყნების ჩამონათვალი, რომელთა მოქალაქეებზე საქართველოს მოკლევადიანი ელექტრონული ვიზა გაიცემა e-VISA PORTAL-ის მეშვეობით წარდგენილი სავიზო განაცხადის საფუძველზე, მტკიცდება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანებით.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 18 აგვისტოს დადგენილება №358 - ვებგვერდი, 19.08.2025წ.
საქართველოს მთავრობის 2026 წლის 7 მაისის დადგენილება №184 - ვებგვერდი, 07.05.2026წ.
საქართველოს მთავრობის 2026 წლის 8 სექტემბრის დადგენილება №443 - ვებგვერდი, 10.09.2026წ.

მუხლი 32. მოკლევადიანი ელექტრონული ვიზის გაცემა

1. სამინისტროს საკონსულო და დიასპორის საკითხების დეპარტამენტი უფლებამოსილია, მოკლევადიანი ელექტრონული ვიზის გაცემის საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის გადამოწმების/დამატებითი ინფორმაციის მოპოვებისათვის მიმართოს წარმომადგენლობას, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის გადამოწმებას/დამატებითი ინფორმაციის მოპოვებასა და სამინისტროს საკონსულო და დიასპორის საკითხების დეპარტამენტის ინფორმირებას მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

2. ამ წესის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული ვიზის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოვლენის მიზნით, ინფორმაცია გამოითხოვება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, ხოლო ამ წესის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში განსაზღვრული ვიზის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლის გამოვლენის მიზნით, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან, ამ წესის 26-ე მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტებით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

3. თუ სავიზო განაცხადსა და თანდართულ დოკუმენტებში მითითებული მონაცემები არ ემთხვევა ერთმანეთს, სამინისტრო უფლებამოსილია, სავიზო განაცხადში შეიტანოს შესწორება წარდგენილი დოკუმენტების შესაბამისად და ამ წესის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული ვიზის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოვლენის მიზნით, ინფორმაცია ხელმეორედ გამოითხოვოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, ხოლო ამ წესის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვიზის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლის გამოვლენის მიზნით, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან.

4. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთისას ვიზის მფლობელი უცხოელი საქართველოს

შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოს წარუდგენს ამობეჭდილ მოკლევადიან ელექტრონულ ვიზას.

5. მოკლევადიანი ელექტრონული ვიზის ფორმა გენერირდება სამინისტროს სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის – „საკონსულო საქმიანობის მართვის ელექტრონული სისტემის“ საშუალებით, სამინისტროს მიერ.

6. გაცემული ელექტრონული ვიზა ვიზის მიმღებ უცხოელს ეგზავნება სავიზო განაცხადში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე იმ ფორმატში, რომელიც იძლევა ვიზის ნახვისა და მისი ბეჭდვის შესაძლებლობას.

7. მოკლევადიანი ელექტრონული ვიზის გაცემის საკითხის განხილვა-გადაწყვეტა ხდება ამ წესის შესაბამისად, თუ ამავე წესით სხვა რამ არ არის დადგენილი. მოკლევადიანი ელექტრონული ვიზის გაცემის შემთხვევებზე არ ვრცელდება ამ წესის მე-19-მე-20 მუხლები.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 2 დეკემბრის დადგენილება №603 - ვებგვერდი, 02.12.2015წ.
საქართველოს მთავრობის 2025 წლის 18 აგვისტოს დადგენილება №358 - ვებგვერდი, 19.08.2025წ.

თავი VIII. ვიზის გაცემა საგამონაკლისო შემთხვევებში

მუხლი 33. ვიზის გაცემა საგამონაკლისო შემთხვევებში

1. ამ წესის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, B4 კატეგორიის ერთჯერადი მოკლევადიანი ვიზის გაცემის თაობაზე სამინისტროს წარედგინება საქართველოს სახელმწიფო ორგანოების წერილობითი შუამდგომლობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საგამონაკლისო წესით ვიზის გაცემის საფუძვლის არსებობის შესახებ ინფორმაციას ფლობს სამინისტრო.

2. საქართველოს სახელმწიფო ორგანოების შუამდგომლობაში მითითებული უნდა იყოს საგამონაკლისო წესით ვიზის გაცემის კონკრეტული საფუძველი, მოთხოვნა/პირობა, რომელსაც ვერ აკმაყოფილებს ვიზის მიღების მსურველი უცხოელი.

3. საგამონაკლისო წესით ვიზის გაცემის საფუძვლის არსებობის საკითხს წყვეტს:

ა) წარმომადგენლობა, სამინისტროსთან შეთანხმებით;

ბ) საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე საგამონაკლისო წესით ვიზის გაცემის შემთხვევაში – სამინისტრო;

გ) ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელების შემთხვევაში – სამინისტრო.

4. საგამონაკლისო წესით ვიზის გაცემის საფუძვლის არსებობის საკითხზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სამინისტროს ან წარმომადგენლობის აღნიშნული გადაწყვეტილება ეგზავნება შესაბამისი მომართვის წარმდგენ სახელმწიფო ორგანოს.

5. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე საგამონაკლისო წესით ვიზის გაცემის საფუძვლის არსებობის საკითხზე სამინისტროს გადაწყვეტილება მიიღება შესაბამისი წერილობითი შუამდგომლობის მიღებიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში.

6. საგამონაკლისო წესით ვიზის გაცემის შემთხვევაში, ვიზის მიღების მსურველ უცხოელს მოეთხოვება მხოლოდ სავიზო განაცხადისა და სამგზავრო დოკუმენტის წარდგენა.

თავი IX. ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელება

მუხლი 34. ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელება

1. საქართველოში მყოფი უცხოელი უფლებამოსილია, მოითხოვოს:

ა) საქართველოს მოკლევადიანი დიპლომატიური და სპეციალური ვიზების მოქმედების ვადის გაგრძელება;

ბ) D3 კატეგორიის ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელება;

გ) D5 კატეგორიის ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელება;

დ) D6 კატეგორიის ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელება.

2. D3 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელების უფლება აქვს საქართველოში ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან მის ბაზაზე სასწავლებლად ან კვლევის ჩასატარებლად მომავალ/მყოფ სრულწლოვან პირს და საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში საქართველოში სასწავლებლად მომავალ/მყოფ პირს, თუ აღნიშნული ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელების საფუძველი არ ითვალისწინებს ამ პირების საქართველოში 3 თვეზე მეტი ვადით დარჩენის შესაძლებლობას.

2[1]. D6 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელების უფლება აქვს:

ა) საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს ან პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლებლად მომავალ/მყოფ არასრულწლოვან პირს მის მიერ სრულწლოვანების მიღწევამდე;

ბ) საქართველოში ავტორიზებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლებლად მომავალ/მყოფ პირს მის მიერ სრული ზოგადი განათლების დასრულებამდე;

გ) ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული არასრულწლოვანი უცხოელის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს და არასრულწლოვან და-ძმას, საქართველოში სასწავლებლად მომავალი/მყოფი D6 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზის მფლობელი უცხოელის მიერ სრულწლოვანების მიღწევამდე.

2[2]. ამ მუხლის 2[1] პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, D6 კატეგორიის ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელებისას, გამოიყენება ამ წესის 25[1] მუხლით დადგენილი პრინციპები, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

3. ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელება დასაშვებია, თუ უცხოელი აკმაყოფილებს შესაბამისი ვიზის გაცემის პირობებს. D5 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით, უცხოელი თავისუფლდება უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულების ხელახალი შეფასების წარდგენის ვალდებულებისგან.

„4. ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელებას ახორციელებს სამინისტრო, სამინისტროს საკონსულო და დიასპორის საკითხების დეპარტამენტის მეშვეობით. სამინისტროს საკონსულო და დიასპორის საკითხების დეპარტამენტი განიხილავს ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელების მოთხოვნით წარდგენილ სავიზო განაცხადს და იღებს გადაწყვეტილებას ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელებისა და, შესაბამისად, ვიზის გაცემის საკითხზე.

5. უცხოელს, რომელმაც ამ წესის შესაბამისად წარადგინა სავიზო განაცხადი ვიზის მოქმედების ვადის გასაგრძელებლად, შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების განმავლობაში საქართველოში ყოფნის ვადა ჩაეთვლება საპატიოდ და იგი გათავისუფლდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ჯარიმის გადახდის ვალდებულებისაგან. აღნიშნული ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უცხოელი არ შეიძლება გაძევებულ იქნეს საქართველოდან.

6. ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელება ხდება იმავე წესის შესაბამისად, რა წესითაც ხდება მისი გაცემა.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 18 აგვისტოს დადგენილება №358 - ვებგვერდი, 19.08.2025წ.
საქართველოს მთავრობის 2026 წლის 8 სექტემბრის დადგენილება №443 - ვებგვერდი, 10.09.2026წ.

თავი X. ვიზის მოქმედების ვადის შეწყვეტა

მუხლი 35. ვიზის მოქმედების ვადის შეწყვეტა

1. ვიზის მოქმედების ვადა შეიძლება შეწყდეს:

ა) თუ გამოვლინდა ვიზის მისაღებად ყალბი ან იურიდიული ძალის არმქონე დოკუმენტების წარდგენის ფაქტი;

ბ) თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ვიზის მფლობელი პირი ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან/და მართლწესრიგს;

გ) თუ აღარ არსებობს ან არ შესრულდა ის მიზანი, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა ვიზა;

დ) თუ იგი გააძევეს საქართველოდან;

ე) თუ უცხოელზე გაიცა ვიზა, რომელიც მოიცავს უკვე გაცემული ვიზის მოქმედების ვადას;

ვ) სამგზავრო დოკუმენტის დაკარგვის ან გამოყენებისთვის უვარგისობისას (გაცვეთა, დაზიანება და ა.შ.), თუ აღნიშნულ სამგზავრო დოკუმენტში დატანილი იყო ვიზა და აღნიშნულის თაობაზე ცნობილი გახდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული შესაბამისი ორგანოსთვის;

ზ) თუ მან სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა.

2. D5 კატეგორიის ვიზის მოქმედების ვადა წყდება შესაბამის უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების შეწყვეტის შემთხვევაში.

2^1. D6 კატეგორიის ვიზის მოქმედება წყდება, თუ ვიზის მფლობელ პირს საქართველოში ყოფნის ვადის გასვლამდე:

ა) შეუჩერდა შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტის/სტუდენტის სტატუსი და სტატუსის შეჩერებიდან გასულია 90 დღე;

ბ) საქართველოში ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში უმაღლეს ან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შეუწყდა პროფესიული სტუდენტის/სტუდენტის სტატუსი ან დაასრულა სწავლა.

2^2. ამ მუხლის 2^1 პუნქტით დადგენილ შემთხვევებში, ასევე წყდება D6 კატეგორიის ვიზის მფლობელი პირის მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებსა და არასრულწლოვან და-ძმაზე გაცემული D6 კატეგორიის ვიზის მოქმედება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს ამავე კატეგორიის ვიზის გაცემის სხვა საფუძველი.

3. ვიზის მოქმედების ვადის შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ვიზის გაცემაზე უფლებამოსილი ნებისმიერი ის ორგანო, რომლისთვისაც ცნობილი გახდა ვიზის მოქმედების ვადის შეწყვეტის საფუძველი, ხოლო საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გაცემული საქართველოს ვიზების მოქმედების ვადის შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

4. სამინისტროსა და წარმომადგენლობის მიერ ვიზის მოქმედების ვადის შეწყვეტის თაობაზე გამოიცემა ამ წესის №10 დანართით განსაზღვრული ფორმის გადაწყვეტილება, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ ვიზის მოქმედების ვადის შეწყვეტის შემთხვევაში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის გადაწყვეტილება.

5. ვიზის მოქმედების ვადა შეწყდება და ვიზა ძალას დაკარგავს, თუ:

ა) უცხოელზე გაიცემა ახალი ვიზა ან საქართველოში ბინადრობის ნებართვა, რომლის მოქმედების ვადა მოიცავს ადრე გაცემული ვიზის ან საქართველოში ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადას;

ბ) უცხოელმა, რომელზეც გაიცა ვიზა, მიიღო საქართველოს მოქალაქეობა.

6. ვიზის მოქმედების ვადის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, შესაძლებლობის შემთხვევაში, აღნიშნული გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს ან ვიზის გამცემი სხვა ორგანოს მიერ ვიზის ბლანკზე დაიტანება მართკუთხა ფორმის შტამპი აღნიშვნით – „გაუქმებულია“ ქართულ ენაზე და აღნიშვნით – „CANCELLED“ ინგლისურ ენაზე. ვიზის მოქმედების ვადის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სამინისტრო ან წარმომადგენლობა უზრუნველყოფს ვიზის გაცემის შესახებ ინფორმაციის ამსახველ ვებგვერდზე მისი მოქმედების ვადის შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის განთავსებას.

7. ვიზის მოქმედების ვადის შეწყვეტის თაობაზე ვიზის მფლობელ პირს უნდა ეცნობოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისთანავე. ვიზის მოქმედების ვადის შეწყვეტის თაობაზე შეტყობინებაში უნდა მიეთითოს ვიზის მოქმედების ვადის შეწყვეტის საფუძველი.

8. სახელმწიფო ორგანოები და იურიდიული და/ან ფიზიკური პირები ვალდებულნი არიან, ვიზის გამცემ შესაბამის ორგანოს აცნობონ ვიზის მოქმედების ვადის შეწყვეტის საფუძვლების შესახებ.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 ივნისის დადგენილება №307 – ვებგვერდი, 30.06.2021წ.
საქართველოს მთავრობის 2026 წლის 8 სექტემბრის დადგენილება №443 - ვებგვერდი, 10.09.2026წ.

თავი XI. ინფორმაციის შენახვა და ხელმისაწვდომობა. კომუნიკაცია

მუხლი 36. დოკუმენტაციის/ინფორმაციის შენახვა

1. ვიზის გაცემის საკითხის განხილვისას წარდგენილი/მოპოვებული მონაცემები/დოკუმენტები ინახება ვიზის გამცემ ორგანოში მატერიალური ან/და ელექტრონული ფორმით.

2. ვიზის გაცემის საკითხის განხილვისას წარდგენილი/მოპოვებული მონაცემები/დოკუმენტები შენახული უნდა იქნეს პერსონალური მონაცემების დაცვისა და უსაფრთხოების რეჟიმის გათვალისწინებით შესაბამის სავიზო განაცხადთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებიდან 5 წლის განმავლობაში.

3. ვიზის გაცემის საკითხის განხილვისას წარდგენილი/მოპოვებული მონაცემების/დოკუმენტების შენახვის ვადის გასვლის შემდეგ, მათი დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება ხდება საქართველოს კანონმდებლობისა და სამინისტროს/საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიდვიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

მუხლი 37. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და კომუნიკაცია

1. ამ წესით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირთან კომუნიკაცია ხორციელდება შესაბამისი შეტყობინების/გადაწყვეტილების ოფიციალური გაცნობის (გადაცემის ან

ფოსტის მეშვეობით გაგზავნის) ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნის გზით.

2. ვიზის გაცემის საკითხის განხილვა-გადაწყვეტისას, ვიზის გამცემ ორგანოსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის კომუნიკაცია შეიძლება განხორციელდეს, როგორც წერილობითი (მატერიალური), ისე – ელექტრონული ფორმით.

3. ვიზის გამცემი ორგანო უფლებამოსილია, ვიზის გაცემის საკითხის გადასაწყვეტად საჭირო ინფორმაცია მოიპოვოს წერილობითი (მატერიალური) ფორმით ან აღნიშნულისათვის გამოიყენოს სხვა სახელმწიფო ან ადმინისტრაციული ორგანოების ელექტრონული მონაცემთა ბაზები.

4. ვიზის გამცემი ორგანოები უზრუნველყოფენ მათ მიერ გაცემულ ვიზებთან დაკავშირებული ინფორმაციის ერთმანეთისათვის ხელმისაწვდომობას.

თავი XII. გასაჩივრება

მუხლი 38. გასაჩივრების წესი

1. ვიზის გამცემი ორგანოს გადაწყვეტილება ვიზის გაცემაზე/ გაგრძელებაზე უარის თქმის (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს ვიზის გაცემაზე უარი არ საჩივრდება), ასევე ვიზის მოქმედების ვადის შეწყვეტის თაობაზე შეიძლება, გასაჩივრდეს ამ მუხლით დადგენილი წესისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ამ მუხლით განსაზღვრული საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილი პირები არიან:

ა) ვიზის მიღების მსურველი სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირი;

ბ) არასრულწლოვანი ან მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფი ვიზის მიღების მსურველი პირის ერთ-ერთი მშობელი ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი;

გ) ვიზის მიღების მსურველი პირის წარმომადგენელი – კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული მინდობილობის მქონე პირი.

3. სამინისტროს საკონსულო და დიასპორის საკითხების დეპარტამენტისა და წარმომადგენლობის გადაწყვეტილება ვიზის გაცემაზე უარის თქმის ან ვიზის მოქმედების ვადის შეწყვეტის თაობაზე, ასევე სამინისტროს საკონსულო და დიასპორის საკითხების დეპარტამენტის გადაწყვეტილება ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე უარის თქმის თაობაზე საჩივრდება სამინისტროში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადაწყვეტილება არ ექვემდებარება გასაჩივრებას „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 3^1 პუნქტის შესაბამისად.

4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ვიზის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე ან საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გაცემული ვიზის მოქმედების ვადის შეწყვეტის თაობაზე საჩივრდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში.

5. ვიზის გამცემი ორგანოს გადაწყვეტილება ვიზის გაცემაზე/ გაგრძელებაზე უარის თქმის, ასევე ვიზის მოქმედების ვადის შეწყვეტის თაობაზე საჩივრდება საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილი პირის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გაცნობის დღიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

6. ამ მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში, სამინისტროს უნდა წარედგინოს ამ წესის №11 დანართით განსაზღვრული ფორმის საჩივარი, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა წარედგინოს – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ფორმის საჩივარი.

7. საჩივარი და მასზე დართული დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. უცხო ენაზე შედგენილი საჩივარი და მასზე დართული დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებულ ქართულენოვან თარგმანთან ერთად. სამგზავრო დოკუმენტი, რომელიც შეიცავს პირის პერსონალურ მონაცემებს ლათინური ტრანსლიტერაციით, შეიძლება წარდგენილი იქნეს თარგმანის გარეშე.

8. თუ საჩივრის განმხილველ ორგანოს არ წარედგინა ამ წესით გათვალისწინებული დოკუმენტები/ინფორმაცია ან წარედგინა არასათანადო წესით, საჩივრის განმხილველი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას საჩივრის განხილვაზე უარის თქმის თაობაზე.

9. ამ მუხლით გათვალისწინებული საჩივარი განიხილება ზეპირი მოსმენის ჩატარების გარეშე, საჩივრის წარდგენიდან ერთი თვის ვადაში. საჩივრის განხილვის ვადა სამინისტროს/საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 2 თვის ვადით.

10. სამინისტროს/საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილება ამ მუხლით გათვალისწინებული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს საერთო სასამართლოებში, გადაწყვეტილების გაცნობიდან, ასევე საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოტანისათვის ამ მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი ვადის გასვლიდან ერთი თვის ვადაში.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 7 მაისის დადგენილება №184 - ვებგვერდი, 07.05.2026წ.
საქართველოს მთავრობის 2026 წლის 8 სექტემბრის დადგენილება №443 - ვებგვერდი, 10.09.2026წ.

თავი XIII. გარდამავალი დებულება

მუხლი 39. გარდამავალი დებულება

უცხოელს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე შემოვიდა 2014 წლის 17 მარტამდე და 2014 წლის 25 დეკემბრისთვის იმყოფებოდა საქართველოში, უფლება აქვს, საქართველოში კანონიერი საფუძვლით ყოფნის ვადის ამოწურვის შემდეგ 2015 წლის 1 ივლისამდე, ამ წესის შესაბამისად, სამინისტროს წარუდგინოს სავიზო განაცხადი საქართველოს ტერიტორიაზე საიმიგრაციო ვიზის მისაღებად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მას უარი ეთქვა საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.